



- მთავარი
- პოლიტიკა
- ეკონომიკა
- საზოგადოება
- ინტერვიუ
- კონფლიქტის ზონა
- დღის ფოტო
- მსოფლიო
- სამართალი
- რეგიონები
- ავტორევიუ
- კავკასია
- დღის კალენდარი
- ვიდეო გალერეა

უახლესი ამბები

20.02.2015 11:45
სავალუტო ფონდისაგან ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის სესხის აღება ბიუჯეტის დეფიციტის ზრდას ნიშნავს - რომან გოცირიძე

20.02.2015 11:45
საპარლამენტო უმცირესობა მთავრობის ეკონომიკურ გუნდს პარლამენტში იბარებს

20.02.2015 11:45
ქუთაისი-ამბროლაურის საავტომობილო გზაზე შეზღუდვება

20.02.2015 11:00
თინათინ ხიდაშელი სტენფორდის მომავლის ინსტიტუტში მოხსენებით წარსდგა

20.02.2015 11:00
პრეზიდენტის მრჩეველი ეთინკური უმცირესობების წარმომადგენლებს შეხვდა

20.02.2015 11:00
თავს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლად წარუდგენდა და თანხას სმალავედა

20.02.2015 11:00
შსს-მ განზრახ მკვლელობისთვის ძეგნილი პირი დააკავა

20.02.2015 11:00
კიბერუსაფრთხოების თემაზე ლექცია ჩატარდა


20.02.2015 09:00
სოლიდარობის ფონდსა და 'ჯინო ფერედაის თბილისის' შორის მემორანდუმი გაფორმდება

20.02.2015 09:00
მარო მაყაშვილის სახელობის კლუბის პრეზენტაცია გამართება

ყველა სიახლე



RSS



არქივი

თებერვალი	2015	go				
01	02	03	04	05	06	07
08	09	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28

საზოგადოება



მწვანე ალტერნატივა ხუდონ ჰესის პროექტებზე დადებული ხელშეკრულების გაუქმებას ითხოვს

19.02.2015 16:40

ორგანიზაცია `მწვანე ალტერნატივა` მოითხოვს, ზემო სვანეთში 702 მეგავატი სიმძლავრის ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე 2011 წლის 28 აპრილს საქართველოს მთავრობას, Trans Electrica Limited-ს, Trans Electrica Limited (Georgia)-ს, შპს „ენერგოტრანს“ და შპს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დადებული ხელშეკრულების გაუქმებას. მწვანე ალტერნატივა ასევე აცხადებს, რომ საქართველოს მთავრობამ უარი უნდა თქვას, მომავალში ამავე კომპანიასთან ახალი შეთანხმების დადებაზე ან არსებულის განახლებაზე.

მწვანე ალტერნატივა განმარტავს, რომ ხუდონ-ჰესის პროექტის განხორციელება დაკავშირებულია მნიშვნელოვან სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ხასიათის რისკებთან. გარდა ამისა, პროექტის განსახორციელებლად დადებული ხელშეკრულებით, მთავრობას აღებული აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები და არსებითი რისკები (მათ შორის, ფინანსური), რომლებიც არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი ადეკვატური გარანტიებით; და ეს მაშინ, როდესაც საქართველო პირდაპირ ეკონომიკურ სარგებელს, შეთანხმების პირობებიდან გამომდინარე, არ მიიღებს.

ზემოაღნიშნული ფაქტორების გარდა, მწვანე ალტერნატივას მიაჩნია, რომ არსებობს ხელშეკრულების გაუქმების მყარი საფუძველი, ვინაიდან დღემდე, პროექტის ინვესტორმა კომპანიამ არაერთხელ დაარღვევია ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები; მათ შორის, კომპანიამ: ვერ მოიპოვა პროექტის განსახორციელებლად მშენებლობის ნებართვა; ვერ მოაზრდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და ვერ ჩაატარა საჯარო კონსულტაციები; ვერ წარმოადგინა განსახლების გეგმა; არ დააბრუნა მისთვის 1 აშშ დოლარად გადაცემული ადილობრივთა მიწა და ქონება.

მწვანე ალტერნატივას წარმომადგენელი, დათო ჭიპაშვილი ყურადღებას ამახვილებს ასევე პროექტის განსახორციელებელი კომპანიის ბუნდოვან წარმომავლობაზე და აღნიშნავს, რომ როგორც აღმოჩნდა, კომპანია Trans Electrica Limited-ი არ ფლობს საქმიანობის წარმოებისთვის აუცილებელ ლიცენზიას: „ჩვენ დავუკავშირდით ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულების ფინანსური მომსახურების კომისიას, რომელმაც განმარტა, რომ მართალია, კომპანია Trans Electrica Limited-ი რეგისტრირებულია ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე, მაგრამ მას არ გაჩნია ოფისი ადგილზე და არ ფლობს ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულების ფინანსური მომსახურების ლიცენზიას. ამ ლიცენზიის ფლობა კი აუცილებელი წინაპირობაა ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანიების მიერ საქმიანობის (საინვესტიციო, სადაზღვევო, საბანკო) წარმოებისთვის, როგორც თავად ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულების იურისდიქციაში მყოფ ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ“.

დათო ჭიპაშვილი ყურადღებას ამახვილებს ასევე ხელშეკრულების კიდევ ერთ პირობაზე, რომელიც მისი გაუქმების აუცილებლობას ადასტურებს. მისი განმარტებით, ხელშეკრულებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება, ხუდონ-ჰესის გამომუშავებული ელექტროენერჯის ზამთრის ოთხი თვის განმავლობაში აუცილებელი შესყიდვის თაობაზე (5.84 აშშ ცენტი 1 კვტ/სთ), ეწინააღმდეგება ევროპის ენერჯეტიკული გაერთიანების მოთხოვნებს, რომლის შესრულების ვალდებულება ევროპის ენერჯეტიკული კანონმდებლობის პაკეტი საქართველომ უკვე აიღო ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით.

განცხადების დასასრულს მწვანე ალტერნატივა საქართველოს პრეზიდენტს, მთავრობას და პარლამენტს ხუთ მოთხოვნას უყენებს და ასევე, მოუწოდებს ევროკომისიას, ევროპარლამენტის 2014 წლის 18 დეკემბრის რეზოლუციის შესაბამისად, საფუძვლიანი მონიტორინგი გაუწიოს ხუდონ-ჰესის პროექტთან დაკავშირებული ხელშეკრულების დადების პროცესს და შეაფასოს ევროკავშირის სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობა.

Like Share 0 Tweet 0

